

საქართველოს მთავრობის მოკვამე

საზღვარსა და სასაზღვრო საზღვარსა

საზღვარსა და სასაზღვრო საზღვარსა

№ 128

კვირა, 29 დეკემბერი, 1918 წ.

№ 128

ქართული სამუსიკო საზოგადოება

სახელმწიფო თეატრი, სეზონი 1918—19 წ.

ეროვნული კონცერტი

ორშაბათს, 30 დეკემბერს გაიგართება.

პროგრამა შესდგება დ. არაყიშვილის თხზულებებიდან.

მონაწილეობას იღებენ: ქ. ქ. ა. შულგინა, ე. ა. ზორინა; ბ. ბ. ფ. ნ. პოლიაევი, ი. პ. ხარაჯიშვილი და სიმფონიური ორკესტრი სახელმ. თეატრისა. დასაწყისი 7 საათზე. 1282 1—1

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველო“ რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

ბელის ნომერის ფასი: ერთი წლით—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით—10 მ.
ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. საველდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დღის 10—3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—82.

კ ი ტ ა

აბაშიძის გარდაცვალების წლის თავზე, მისი სული მოსახსენებლად, კვირას, 29 დეკ. დიდუბის ეკლესიაში გადახდრილი იქნება წირვა და პანაშვილი, რასაც აუწყებენ მისი შვილები. წირვის დასაწყისი 10¹/₂ ს. პანაშვილი 12¹/₂ საათზე. 12 16 3—2.

საარმიო არტილერიის ბრიგადა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 29 ქრისტეშობისთვის ა. წ. შუადღის 1 საათზე გადახდრილი იქნება პანაშვილი ქვეშევრდის ეკლესიაში მე-7 ბატარეის უფროსის იმავ ბრიგადის

იასონ მელიტონის ძე გრიგოლიასი,

1232 რომელიც მოკლულ იქნა სოფ. ახტალასთან მტერთან შეტაკების დროს. 1-1

საწარმო მანქანების ქარხნული მანქანა

ვიღებთ გადასაკეთებლად. გადაკეთება შეიძლება სისტემების „უნდერვუდ“ და სტეფერი“სა. ასოები ფოლადისა. ტექნიკური კანტორა „ინჟინერ ვ. ლ. კანდელაკი და ანხანაგობისა“ ერევანის მოედანი, პუშკინის ქუჩა № 1. 1203 3—3

სახელმწიფო თეატრი

ს. ა. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, დეკემბრის 29-ს დღით ქალთა 2-ე გინანზის ღირსი მოწვევით სასაზღვროდ, სახანაგობის, სარაჯიშვილის, ვ. ა. ხსკის, ნიკოლსკის, და დენიანეკოს მონაწილეობით

სევილია დალაქი

საღამოს—ალეგროს, კანონის, პოლიაევის მონაწილეობით 1. ტოტო 2. გალსი

(იპერა ჯიკონდიდან საათის ცეკვა)
სამზადების, დეკემბრის 31-ს სანაგებოს, სარაჯიშვილის, იხევის მონაწილეობით „ტრავიატა“ დღით, ოთხშაბათს, 1 იანვარს, 1919 წ. 1. „სეტა, თხა, ცხვარი.“ 2. ბალეტო „კავალერიის პრევილი.“ სილინოს, ალექსანდრის, იხის, ზაქარაძის, პოლიაევის და იხევის მონაწილეობით „ხანა“. ხუთშაბათს, 2 იანვარს „პიკოვილი დაი.“ სილინოს, სახანაგობის, სარაჯიშვილის, პოლიაევის და დენიანეკოს მონაწილეობით „რიგოლეტო“. შაბათს, 4 იანვარს, 1. „შვიდი თიანთი.“ 2. „წითელი გული.“ 3. ბალეტო „ჯიკონდი ოპერადან.“ (საბუხის თანაში). საღამოს სანაგებოს, შენაგობის, სარაჯიშვილის, ზაქარაძის და ნიკოლსკის მონაწილეობით „გოგონის ზღაპრები.“ კვირას, 5 იანვარს დღით 1. „ბაიბაი.“ სილინოს ბენეფისი რეისორ ბელსკისა. ა. დ. სახანაგობის, ალექსანდრის, სარაჯიშვილის, კანონის, ვროსკისა, ნიკოლსკისა, ისეცისა „გუგუნილი“. სამშაბათს, 7 იანვარს დღით „ვეფხვი ონგისი“. საღამოს ზღაპრებისა, შინაგობის, იხის, კანონის, პოლიაევის, ისეცის და სარაჯიშვილის მონაწილეობით. „ნერონი“. ოთხშაბათს, 8 იანვარს დღით „სულა“. საღამოს სანაგებოს, სარაჯიშვილის, ზაქარაძის, ვროსკის, ისეცის მონაწილეობით „რომელი და ჯულიეტა“. ხუთშაბათს, 9 იანვარს დღით „კარენი“. საღამოს ალექსანდრის, კანონის და ისეცის მონაწილეობით. „ფილიპე“. შაბათს, 11 იანვარს, სახანაგობის მონაწილეობით. „ფილიპე“. დასაწყისი დღის სრულ 12 ს. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე. 1293 1—1

ქ. სვილიძის და აგრეთვე სვილიძის, გორის და თალაშის გავრცელების გენერალ-გუბერნატორისაგან

როგორც ჩემანდე მოხსენიებული სიხანს ქალაქ ტფილისში ბოროტ მომკმენი პირნი დაბრუნების მიზნით ახდენენ მოქალაქეთა სახლების ჩხრეკას. ამისათვის ვუცხადებ მოქალაქეთ, რომ ჩემის მხრით ჩხრეკა და ჯგუფური შეპყრობა მოქალაქეთა მინდობილი აქვთ მართოდ მართო ქალაქის მილიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმს, ამასთანავე ყოველ თვითმხელ შემთხვევაში გაჩხრეკის მოხდენ პირთ ეძლევათ ჩემი ხელ მოწერილი და ბეჭდვით დასმული საგანგებო ორდერი; უამორდეროთ-კი ჩხრეკა და შეპყრობა მოქალაქეთა ჩიბთვლები თვითნებობათ და ამანე მოქალაქეებმა მაშინვე უნდა აცნობონ მხლობელ მილიციის ნაწილს.
გენერალ-გუბერნატორი შ. შაღლაქელიძე
27 დეკემბერი, 1918 წ. ქ. ტფილისი. 1314 3—1

სახელმწიფო თეატრი.

ოთხშაბათს, 1 იანვარს საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის და სახელმწიფო თეატრის თანამშრომლობით

სამშობლოს დამცველ მეომართა პატივსაცემად და სასარგებლოთ

გაიმართება **ლილი მხატვრული საღამო** გაიმართება

შინაარსი: პირი მხრე—სამუსიკო ლეგენდა ბალეტით (კეთილ და ბოროტ სულთა ბრძოლა) 1 მოქმ. ქ. ფოცხვერაშვილისა.
სიმფონიური და სასიმღერო განყოფილება
ქართულ მუსიკოსთა ნაწარმოებთაგან.
ბალეტო—სახელმწიფო თეატრის რჩეულ მოცეკვათა ანსამბლით.
მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის, სამუსიკო საზოგადოების და მსახიობთა კავშირის საუკეთესო ძალები. რეჟისორი—ალ. წუწუნავა. გამგე—საქ. მეომ. დამხმარე კომიტეტი. 1306 ბალეტები იყიდება თეატრის კასაში. აფიშები არ გამოვა. 3-1

გორის საზოგადოებრივი გაგვიკება

იწვევს გორის სასახურში: მოსამართლეებს, აგრონომებს, ექიმებს, ბეთლებს, სტატისტიკოსს, ზუსტელებს და ტექნიკოს ინჟინერებს, სსურველებსა უნდა მიმართონ გამგეობას—წარმოუდგინონ საქირო ცნობები და მოკლე carcutumvidac.
1229 1—1 გორის გამგეობა.

ოფიციალური განყოფილება

კანონი

რესპუბლიკის მტრის დახმარებისათვის ქონების კონფისკაციისა.
1. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უცხო სახელმწიფოს საომარ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ ან და გარეშე მტრის აქტიურ დახმარებას გაუწევს იარაღისა, ფულისა, თუ ცნობის მიწოდებით ან საერთოდ ხელს შეუწყობს მტრის სამხედრო მოქმედებას,—ჩამოერთვის მთავრობის დადგენილებით ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოთ.
2. ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლის დეკემბრის ცხრიდან.
1918 წ. დეკემბრის 24.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ქორდანაია.

მოკლე ვადიანი 5% სახელმწიფოს ხაზინის ვალდებულების გამოცემისა.
1. ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არაჩვეულებრივი ხარჯის დასაკმაყოფილებლად მიეცეს რესპუბლიკის მთავრობას უფლება გამოსცეს ორმოცდა ათი მილიონი (50.000.000) მანეთის 5% მოკლე ვადიანი სახელმწიფოს ხაზინის ვალდებულებანი ერთი წლის ვადით.
2. ვალდებულებანი უნდა იყოს უსახელო და დაყოფილი შემდეგ კუპონებად: 5,000 მ., 1000 მან., 500 მან., 100 მან. და 25 მანეთიანად.
შენიშვნა: თუ მსურველი აღმოჩნდა 5000 მ. და 1000 მანეთიანი უსახელო ვალდებულებანი შეიძლება გადაკეთდეს სახელმწიფო ვალდებულებად და ჩაიწეროს ტფილისის ხაზინის წიგნებში.
3. აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავსებული იქმნენ სახელმწიფოს გადასახადისაგან.
4. ვალდებულება გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალ-გასავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდარად.
5. ვალდებულებათა შექმნა შეიძლება სახელმწიფოს ბანკის კანტორასა და განყოფილებაში, რესპუბლიკის ხაზინებში და ყოველ კერძო საკრედიტო დაწესებულებაში.
6. ვალდებულების მქონეებს სარგებელი მიეცემა წინააღმდეგ დღიდან მისი შექმნისა.
7. ვალდებულების სარგებლის დასაფარავად შეტანილ იქნეს რესპუბლიკის 1919 წლის ხარჯთაღრიცხვაში ორ მილიონ ნახევარი (2.500000) მან.
8. გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ვალდებულებათა გამოცემის ხარჯის დასაფარავად

კრედიტი ასი ათასი მანეთისა (100,000), რაიცა შეტანილ იქნეს 1919 წლის ხარჯთაღრიცხვაში.

9. ფინანსთა მინისტრის მიერდოს კანონის განსახორციელებლად სათანადო ინსტრუქციების გამოცემა თანახმად ამა კანონისა და საკრედიტო წესდებისა (რუსეთის კანონთა კრებული 11 ნაწილი მეორე, გან. მეორე 152 მუხლიდან 184 მუხლამდე).

10. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

1918 წ. დეკემბრის 24.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჭორბანიძე.

ტფილისის ქ. მილიციის განკარგულება.

№ 325.
1918 წ., დეკემბრის 17.

§ 1
ოსებუ გაბიტაშვილი ჩაირიცხა მეოთხე უბნის უპიცროს მილიციონერად.

§ 2.
დათხოვნილია სამსახურიდან მეოთხე უბნის მოსამსახურე ივანე ბიძინაშვილი.

§ 3.
მე-XI უბ. მსახურად დაინიშნა სევერიანე იოსებისძე ახალაძე.

§ 4.
მე-XI უბ. უპიცროს მილიციონერად დაინიშნა პლატონ სარდიონისძე გაბუნია.

§ 5.
ივანე ნიკურაძე ჩაირიცხა მე-XI უბ. უპიცროს მილიციონერად.

§ 6.
ალექსანდრე ინაშვილი და გიორგი ქუროდვანიძე ჩაირიცხნენ მე-4 უბ. უპიცროს მილიციონერებად.

§ 7.
მე-8 უბ. უპიცროს მილიციონერი ანდრია ანდრიასოვი სამსახურიდან დათხოვნილია თხოვნის თანახმად.

§ 8.
მე-4 უბ. უპიცროს მილიციონერებად ჩაირიცხნენ: ივანე ინაშვილი, ლავრენტი რუსია, გუსეინ მამედოვი, აჯი კურბან ოლი, ლავრენტი ევანია, სტიფანე კასატკინი, ზაქარია სისაური, ივანე ჯინჭარაძე, ვლადიმერ გოგიჩაიშვილი, ტარასი ფირცხალაშვილი, არკადი კროვრელიკი და რაჟდენ გაბედავა.

არა ოფიციალური განცხადება

სამხედრო მინისტრის ბრძოლს გიორგის მოხსენება ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

(წარმოთქმული პარლამენტის დეკ. 27 სხდომაზე) მინისტრის გამოსვლას პარლამენტი ტაშით ეგებება.

მოქალაქეო! რამდენადაც ეს შესაძლებელი არის, მე მინდა მოგახსენოთ ის მდგომარეობა, რომელიც არსებობს ჩვენ ფრონტზე დღეს.

მარჯვენა ფრონტზე იქ, სადაც ჩვენი სახალხო გვარდია მოქმედობს ამ დღეებში, ამ ორი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა დავით-საჩინის და სანაინის რაიონში. ეს სასტიკი ბრძოლა, დამთავრდა მით, რომ სახალხო გვარდიამ ეს სოფლები, ეს რაიონები დაიჭირა და მტერი იქიდან გარეკა (ტაში).

დაწერილებით ეხლა შეიძლება ვთქვათ, თუ როგორ სწარმოებდა ეს ბრძოლა, თუ როგორ განვითარდა იგი, რადგანაც ეს ეხლა საისტორიო მასალა არის, და ამის შესახებ, მე მეორე სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი, პარლამენტის წევრი ვალიკო ჯუღელი, რომელიც აქ არის, დღეს ჩამოვიდა, ის დაწერილებით გაიმბობთ (მუხრვალე ტაში).

მეორე მხრივ, მარჯვენა ფრონტზე, ეს 2 დღეა საშინელი ბრძოლა სწარმოებდა. იქ ერთი ადგილი, ერთი ხელიდან მეორე ხელში გადადის, და დღეს დღეობით ბრძოლა იწარმოებდა მდგომარეობაში არის, რომ იმდენი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდება.

ჯარის განწყობილება მშვენიერია, აგრეთვე სახალხო გვარდიის ნაწილები, რომლებიც იქ მოქმედობენ თავგანწირულად, გამირულდ იბრძვიან, და ჩვენ იმდენ გვაქვს, რომ იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებული აქვს დღეს ჩვენ შეიარაღებულ ძალს, ჩვენ ჯარს და სახალხო გვარდიას დღევანდელ მოწინააღმდეგეებთან—ის კანონითა შეასრულებს.

საერთოდ, სამხედრო მდგომარეობის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ნობილიზაცია, რომე-

ლიც ჩვენ გამოვაცხადეთ, ჯეროვანად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. იმ ნაწილებშიაც კი, სადაც ჩვენ ცოტა რამ ექვი გვექონდა, რომ შესაძლებელი იყო არ ჩატარებულყო რიგინად,—იქიდანაც კი ცნობები გვაქვს, რომ ის მიმდინარეობს სრულიად დამაკმაყოფილებლად.

აღფრთხილება საერთოდ ისეთი არის, რომ არამც თუ ისინი, ვისაც მობილიზაცია ეხება, არამედ ისინიც, ვისაც მობილიზაციით, ეხლა ჯარში გამოსვლა არ ეხება,—მონახლსებდად მოდიან, სდგება ცალ-ცალკე რაზმები, ეს რაზმები საერთო ორგანიზაციაში შედიან და ბრძოლის ველისაკენ მიემართებიან.

გარდა ამისა, სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და მისი შეესება სრულიად დამაკმაყოფილებლად სწარმოებს.

ამის შემდეგ რჩება ის რიცხვი ჩვენი მოქალაქეებისა, რომელთაც არ შეეხებათ მობილიზაცია, რომელთაც მონახლსებდად წასვლა არ შეუძლიან, და არც სახალხო გვარდიაში მუშაობა შეუძლიან. იმათი მოვალეობაა, რომ ამ ჩვენ მებრძოლებს ზურგი გაუმჯობრონ, რითაც შეიძლება დახმარება აღმოუჩინონ, დახმარება ყოველ მხრივ.

სამხედრო უწყება ცდილობს, რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში დაეკმაყოფილებული იყოს ყოველფე მთხოვნილება ჩვენი შეიარაღებული ძალებისა, ჩვენი ჯარისა და სახალხო გვარდიისა, მაგრამ, რასაკვირველია, აუცილებლად საქირო არის, ამ შემთხვევაში, კერძო ინიციატივა. ჩვენ ვკითხულობთ გაზეთებში, რომ დაარსდა სხვა და სხვა კომიტეტები, სხვა და სხვა შემოწირულობას ოღებენ ომისთვის ეხლა. დრო აღარ არის იმისა, რომ მარტო კრებები იყოს გამოცხადებული, მარტო ლაბარაკი იყოს, მოქმედების დროა. და ყველა ასეთმა დაწესებულებამ თავისი მოქმედება ახლო უნდა მიიტანოს ფრონტზე და ყოველ მხრივ ჯარის კაცებს და გვარდიელებს დაეხმაროს, როგორც სხვა და სხვა მატერიალური მასალით, აგრეთვე ზნეობრივ და კულტურულ დახმარებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა გაზეთების და ცნობების მიწოდებას ფრონტზე, დიდი მნიშვნელობა აქვს უბრალო გამოჩენას, უბრალო წარმომადგენლის გამოჩენას მისთვის, რომ ნახონ ჯარის კაცებმა, ნახონ გვარდიელებმა, ნახონ მონახლსებებმა რომ ისინი თუშ. ცა საბრძოლველად წავიდნენ, მაგრამ მათ ზურგს უკან არიან მოქალაქეები, რომელთაც არ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ აქტიურად ბრძოლაში და ისინი მათზე ფიქრობენ.

შორს რომ არ წავიდეთ თვითონ ტფილისში მოიყვანეს დაქრილები, ჩვენ საავანტურაფობში საკმარისი დაქრილები არიან. ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, ყველა საშუალება არის მიღებული, რომ ისინი დაეკმაყოფილებული იყვნენ ყოველ მხრივ, მაგრამ ხხვა და სხვა დაწესებულებების აქ გამოჩენას, მათ ერთგვარ თბილ მოპყრობას სხვა და სხვა დახმარებას,—ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ არის ერთი ზომა, რომელსაც უნდა მივმართო, და ჩვენი ვალდებულება არის, პარლამენტმა უნდა სთქვას ეს და სახეობშიც უნდა უნდა იქნას. მე ეს, ერთ ჩემ მოხსენებაში წინადაც გავკვირთ ალენიშვი, რომ ისინი, ვინც ამ ომში იღუპებიან, ისინი, ვინც სახიზრდებიან,—რომ მათ ცოლშვილი, მათი ოჯახები უზრუნველ ყოფილი იყვნენ. ამ შემთხვევაში, მე გვინდა ჩვენ შეგვიძლიან, და მთავრობა წინადადებებს იძლევა, რომ დიკლარაციურად პარლამენტმა დღეს დაადგინოს, რომ სახეობშიუო უზრუნველ ჰყოფს იმთ ოჯახებს ვინც ამ ომში ან დაიღუპება, ან დასახიზრდება ეს იქნება, რასაკვირველია, ს.ერთოდ დადგინდება, ამას რასაკვირველია, აქვს მნიშვნელობა როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი.

ახლო მომავალში კი მთავრობა კანონპროექტს შემოიტანს იმის შესახებ, რომ მამინ უფრო დაწერილებით განვხორციელოთ ეს დახმარება.

დღეს მე შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩვენი ჯარის, ჩვენი გვარდიის სულიერი განწყობილება მტკიცია, მათ გადაწყვიტილი აქვთ, რომ დღევანდელ მძიმე პარობაში ისინი გაუმკლავდებიან მტერს და თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ. ისინი კი ვინც დღეს აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებენ,—მათი მოვალეობა არის რითაც შეიძლება ამ მძიმე მოვალეობის, საპასუხებლო მოვალეობს ასრულებაში ჩვენს შეიარაღებულ ძალებს დაეხმარნენ. და ერთი ასეთი დახმარება, რეალური დახმარება, არის მიღება იმ დადგენილებასა, რომელ აც მე, მთავრობის სახელით, ვაცხადებ (ტაში).

პალიკო ჯუღელის მოხსენება ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

მე ვიცი, მოქალაქეო, რომ სრულ თქვენ ყურადღება ფრონტისაკენ არის მიქცეული და თქვენ გაინტერესებთ ეს ბრძოლა, საბედისწერო ბრძოლა საერთოდ, რომელიც ჩვენ სამომარ ხაზზე სწარმოებს. და მეც მინდა გადამოქცეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ამ ბრძოლის ხაზზე. მე მინდა აქ ჩვენ პარლამენტს უთხრა, რომ ამ შთაბეჭდილებამ კიდევ უფრო დამტკიცა ჩემი რწმენა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ხალხი, ჩვენი დემოკრატია ამ საშინელ საბედისწერო ომში გაიმარჯვებს.

მე მინდა გადამოქცეთ ზოგიერთი ებზოლო, სხვათა შორის ის ებზოლო, რომელსაც დამტკიცა, რომ ჩვენს დემოკრატიაში, როდესაც ის გრძნობს თავის სიმართლეს, ბრძოლის უნარი, ბრძოლის ცეცხლი სრულიად არ ჩამქრალა.

აი სწორედ 19 დეკემბერს, როდესაც ირგვლივ ჩვენ მტერი შემოგვერტყა, როდესაც მან უკვე მოახერხა რ ორი ჩვენი ბატარეა ხელში ჩაიგდო, როდესაც ეს გამარჯვებული მტერი ჩვენმა ჯარმა, რომელიც ეკატერინოფლში თავმოყრილი იყო, ხელახლად დაამარცხა, ეს ებზოლო ყველაზე უფრო ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენს ხალხს ბრძოლა არ დაევიწყება, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მან იცის, რომ ამ ბრძოლით სწყდება თვით მისი არსებობა და მისი მომავალი, და არამც თუ არ ივიწყებს ამ ბრძოლას, არამედ აღწრმავებს და აორკეცებს თავის ენერჯიას.

აი სწორედ 18 დეკემბერს, როდესაც ჩვენი სახალხო გვარდია დამით შევიდა ეკატერინოფლში, ჩვენმა მოწინააღმდეგემ, რომელიც ადრე ემზადებოდა ამ იერიშისთვის და რომელიც დიდი ხანია აწარმოებდა თავის ძალების დაგროვებას და ჩვენ წინააღმდეგ იერიშის მოტანას, აი ამ მოწინააღმდეგემ დამით ისარგებლა რა ამინდით, ყველა მადლობი დაიკავა და მძლავრი იერიში მოიტანა ჩვენი ბატარეაზე. მაგრამ მან არ იცოდა, რომ დამით რომდინიმე სახალხო გვარდიის ბატალიონი შემოვიდა ეკატერინოფლში, და სწორედ ამიტომ მოტყუარდა თავის ანჯარიშში. და როდესაც მთავარი თავისი ძალით, მან მოიტანა იერიში ჩვენ ბატარეაზე, საშინელი ბრძოლის შვიდი, რომელშიაც სასიყვარისო ჩვენი ბატარეის წევრები, საუკეთესო ჩვენი ამხანაგები ამ ბრძოლაში დაიხიჯნენ, მკარზა ბატარეიჩი ჩაიგდო ხელში. უცხად მთელს ჩვენ გარნიზონს მოიღო ცნობა: „ჩვენი ბატარეა განსაკუთრებით, ბატარეა მკარზა ჩაიგდო ხელში“. ნაცვლად იმისა, რომ ამ ცნობას ყოველი ბრძოლის უნარი ჩაიქრო, იარაღის დაყრის სურვილი გაიძეობინა ჩვენი გვარდია, ყოველი გვარდიელი დადა თავის ადგილზე და თამაზდ წაიდა ბატარეის განსაცდელიდან დასახსნილად.

აქ გაიმართა საშინელი ხელჩართული ბრძოლა და მიუხედავად იმისა, რომ მტერი გამარჯვებული და მძლავრი იყო, მიხედავად იმისა, რომ მტერი უკვე შემოჭრილი იყო ყოველ მხრივ ეკატერინოფლში, ჩვენი გვარდია, ჩვენი ჯარი თამაზდ წაიდა იერიშით, საუკეთესო ჩვენი ამხანაგები და ოფიცრები მოწინავე რომ იყვნენ. თუკი ისინი იხიჯნებოდნენ, სხვათა შორის სწორედ იმ დროს მოგვიკლეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგი სანთრო მანისურაძე, რომელიც პირველ რიგში იბრძოდა, იქვე დაიხიჯნენ ჩვენი საუკეთესო ოფიცრები. მაგრამ ჩვენი გვარდიელები, რაკი ხედაიდნენ თავის დაზოცილ ამხანაგებს უფრო თამაზდ მიჰქონლათ იერიში. სამი, ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენ კოოა დაიბრუნეთ ჩვენი ბატარეა და მკარზა საშინლად დაგამარცხეთ. მისი დროებითი, ერთი წუთის გამარჯვება ჩვენ სასტიკ დამარცხებათ ექვიოთ, და მერე დამარცხებულ მკარზს დიდხანს ვდევნიდით.

თუმკა ჩვენ სოციალისტებისთვის ძაოიან მძიმე არის აი ასეთი გამარჯვების დღესასწაულობა, რადგანაც ჩვენ სასტიკი წინააღმდეგე ვართ ომისა, მაგრამ ჩვენ ვიცი, რომ ხან და ხან სწორეო ომში რაზმით ჩვენ შეიკრძლიან, უფრო ადვილად მოიპოოთ ის საშინელი ბოროტება (ხმა: მართალია. ტაში) და ამიტომ მივიღე ჩვენი ენერჯით, ჩვენ ამ ომს უჭირო მხარს, და მივიღე ძალღონით ვაწარმოებთ გამარჯვების პოლიტიკას.

მე ვიტყვი აქ, სწორედ საქართველოს პარლამენტში, რომ 19 დეკემბრის გამარჯვება არის იმის მაჩვენებელი, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება.

დაჭირალი ჩვენი ამხანაგები, რომელთაც იარაღით გამოსვლა აღარ შეიძლოთ, როდესაც ჩვენ ვიყინა და უნა შეეძახეთ ეს დაჭირილები ხმას გვაძლევდნენ, ცოცხლებს გვამხნივებდნენ, და როცა ასეთი სულიერი გან-

წყობილება შეიქმნა, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ცოცხლები და დაჭირილები ერთად გაჰკიოდნენ გამარჯვებას. მაშინ რასაკვირველია, ის მტერი, რომელიც ქურდულად წამოგვეპარა და მძლავრი იყო, ვერ გაუძლო ჩვენს იერიშს და დამარცხდა.

როდესაც ჩვენ ჩავიდეთ ხელში მათი ხელსდგანელები, ჩვენ ზოგიერთი დოკუმენტები აღმოვაჩინეთ. ერთი ფრიად საყურადღებო დოკუმენტი ის არის, რომელიც ჩვენს გაზეთებში დაიბეჭდა. ეს არის ლორის რაიონის რაზმისადმი განკარგულება.

უკვე 13 დეკემბერს თანახმად სომხის მთავრობის განკარგულებისა და სომხის სამხედრო მინისტრის ბრძანებისა, ამ რაზმს მიეცა განკარგულება, რომ ის ვადასულოყო იერიშით და იქამდის ედევნა ქართველი ჯარი, სანამდის ის მას ტყვედ არ წაიყვანდა.

აი, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ სრულიად არ ვფიქრობდით იმაზე, როდესაც ჩვენ მთელი არსებით ვივინდოდა შერიგება და სადავო საკითხების მოგვიებით გათავება, თურმე სომხის მთავრობამ, რომელსაც სათავეში უდგია ის პარტია, რომელიც ჩემის აზრით არის უსაშინელების მტერი არა მარტო ქართველი ხალხისა, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით სომხის დემოკრატისა (ტაში).

აი სწორედ ამ მთავრობამ და მთავრობის პარტიამ ვასცა ბრძანება, რომ ჩვენზე, ვისაც ზავი და მშროგება გვიწოდდა ფრიად საშინელი იერიში მოეტანათ. აი სწორედ ამით აიხსნება ჩვენი დროებითი ზოგიერთი დამარცხება. როდესაც ჩვენ სრულიად არ ვიყავით მომზადებული ომისთვის, როდესაც ომი არ გვიწოდდა, არ ვეზადებოდით მისთვის, სომხის მთავრობამ დაამზადა საკმაო მუშტი და როდესაც ეს მუშტი უკანდან ჩავგვცხო, რასაკვირველია დროებითი გამარჯვება მოიხვეჭა. მაგრამ, როდესაც ვგვრძენით ჩვენ ეს მუშტი და გავიგეთ, რომ მტერი ესე იქვეა, მოგახსენეთ ჩვენი ძალების მობილიზაცია და დღეს უკვე ჩვენი მდგომარეობა ვასწორდა. გამარჯვების სასწორი ჩვენს მხარეზე ვადმოიხარა.

თქვენ იცით, რომ ეს პარტია, ეს მთავრობა, რომელიც საუბედროოდ ხელმძღვანელობს სომხის ერს არ კმაყოფილდება რეგულიარული ჯარით. ის აწარმოებს ყველაზე უფრო სასტიკს და საშინელ პოლიტიკას, მშვიდობიან ხალხს თორეეს ომში. ჩვენ ვიცი, რომ ყოველ განათლებულ ქვეყანაში ომში ჩათრევა მშვიდობიან ხალხს არის სასტიკად აკრძალული. საერთაშორისო უფლება ამას სასტიკად ჰკრძალავს და ჩვენ ვიცი, რომ თუ მშვიდობიანი ხალხი ჩაერევა ომში იგი სრულიად კანონგარეშე რჩება და სწორედ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქვია სომხის მთავრობამ და ეს მშვიდობიანი ხალხი, რომელსაც სრულიად არ უნდოდა, არ სწყუროდა ომი, ჩათარია საშინელ ავანტიურაში და დღეს, რასაკვირველია, ეს მშვიდობიანი ხალხი, რომელიც იარაღით ხელში უკვე საბრძოლველად არის გამოსული, რასაკვირველია ის სასტიკად დაიჩაგრება და დაისჯება ომში.

ჩვენ არა ერთხელ შევხვედრივართ სომხის მოხუცებს, რომელნიც ამბობენ: „რა უბედურებაში ჩავვაჯდო ჩვენმა მთავრობამ, რადგანაც ჩვენ საქართველოსთან ყოველთვის მშვიდობიან განწყობილებაში ვიყავითო.“

ჩვენ ვიცი, რომ ქართველობა ძალიან ხშირად, ჩვენ საშინელ განსაცდელიდან გვხხსნიდნენო.

აი სწორედ ეს მთავრობა, რომელიც არავითარი საშუალებას არ ზოგავს, რომელიც სხვა და სხვა პროვოკაციას ეწევა, ვიმეორებ, მე ამ მთავრობამ მშვიდობიან ხალხის ჩაერევა განიზრახა ამ ომში, რომ მან ააჯანყა შულავერი. და მეორე შულავერს ჩვენ ზურგში გვიმზადებდა: ეს იყო დაგვიანაჩინი.

შულავერი და დაგვიანაჩინი ერთი-ერთმანეთთან მეტისმეტად დაკავშირებულნი იყვნენ, და სწორედ შულავერის ამბოხებამ ცულ მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი სანაინის, და სადახლოს რაზმი. და სწორედ ასეთვე ამბოხებას ამზადებდნენ დაგვიანაჩინი, რომ ამით ჩვენი ეკატერინოფლდის რაზმი ამავე საფრთხეში და განსაცდელში ჩაეყენებინა. მაგრამ, ჩვენ ადრე შევიტყუეთ ეს, ვინაიდან, იქ მყოფმა ჩვენმა მეგობრებმა ვადმოგვეცეს, და იერიშით მივიდით ამ სოფელზე. სანამ იერიშით მივიდოდით, ჩვენ შეუთვალეთ მათ: ჩვენ არ მოვსულვართ თქვენთან საბრძოლველად, ჩვენ გვაქვს საქმე იმ მთავრობასთან, რომელსაც ომი გამოავიცხადა, მაგრამ გვინდა, რომ თქვენი გამოგზავნათ თქვენი დღევანდელი, თქვენი კომისრები, და მერე ჩვენ ჩვენს მოთხოვნილებას წამოგვიყენებთ. და სწორედ იმ ხალხს, რომელიც ჩვენ გავგზავნეთ ამ მოთხოვნილებით, ამ სოფელმა თოფი და პულე-

შიორები დაუშინა. მაშინ ჩვენ ვიგრძენით, რომ დრო დაგვიკარგავს, და წაველით ამ სოფლის ასალეზად...

და აი სწორედ ამან დაგვანახა, რომ თუ ჩვენ დროზე არ მიგველო ზომები, ამ სოფ. წინააღმდეგ, აქ საშინელი ამბოხება მოხდებოდა...

ჩვენი ჯარი, მიუხედავად იმისა, რომ ის ვერ არის სასებით გაწვრთნილი, მთელი თავის ენერჯით და აღფრთოვანებით იბრძვიან...

ჩვენმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით პარლამენტმა არც ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს ის მეომრები, რომელნიც საშინელ მდგომარეობაში არიან ამ ცივ ზამთარში...

ჩვენმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით პარლამენტმა არც ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს ის მეომრები, რომელნიც საშინელ მდგომარეობაში არიან ამ ცივ ზამთარში...

მთელი თავისი ენერჯით ახალი ძალები დააგროვით და ეს ძალები გაუფხავნათ იქ, (ვაშა) ვინათი თვითონ მებრძოლს დღეს მერტის-მერტი დიდი მნიშვნელობა აქვს.

და თუ ჯარი იგრძნობს იმ სიბოძოს, რომელსაც თქვენ შექმნიდით მის ირგვლივ, მე გარწმუნებთ, თქვენ მოქალაქენო, რომ ეს ჯარს და, მაშასადამე მთელს ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს ხალხს, სრულს გამარჯვებას მიანიჭებს.

და სწორედ ამ გამარჯვების იმედით მივდივართ ჩვენ ფრონტზე და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ჯარი და ჩვენი გვარდია ჩვენს ხალხს ამ გამარჯვებას მიანიჭებს.

თავმჯდომარე გ. ო. სიტიკიძე ექსპოზიციის სამხედრო მინისტრს.

სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგიძე. მე მოვასხენეთ ჩემს სიტყვაში და მთავრობის წინადადება განვახადე.

პარლამენტისგან რომ მან დადასტუროს დეკლარაციულად ეს დადგენილება, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველ ჰყოლოს ის ოჯახები, რომელთა წევრებიც ომში დაიხილება ან დასახიარდება.

და თუ მჯდომარე ვინ არის ამის წინააღმდეგ? ვინ შეაკავა თავი? ერთხელ არის მიღებული. უკვე 4 საათია. ნება მიბოძეთ კრება დაეხურო.

კასტრიოპული ალფრიოვა-ნება.

ის, რაც ამ ორი კვირის განმავლობაში ხდება ტფილისში და რისი მოწოდებით ვართ ჩვენ და ჩვენს შემოფარებული მტერ-მოყვარენი, აშკარაა და მკერმეტყველური დამამტკიცებელია იმისი, რომ ქართველი ხალხის ეროვნული ენერჯია არაა დაჩაქვნილი ასი წლის მონობამ და მისი ისტორიული ბედის ცვლებადობამ, არამედ ცეცხლის ქურად გააშირალანდა, განამტკიცა, გაასაღულედა და სომხეთის ავანტიურამ ეს ენერჯია ააფეთქა, ააქუნა და დიდ ეროვნულ, თავდაცვის წითელ კარნავალად გადაშალა.

ტფილისში ჩვენ ვხედავთ ამის საილიუსტრაციო სურათებს. ვხედავთ, თუ როგორ სიძალღუნე ავარდა ქართველ ხალხში ეს პატრიოტული აფეთქება.

და სწამს ყველას, რომ ეს ენერჯიის აღდგენა, ეს სამშობლოს სიყვარულის გრძობათა ამოძრავება უნაყოფოთ არ ჩაივლის და უშედეგოდ არ დაიფუჭება.

ყოველ დღე ტფილისი არის მოწამე იმისი, რომ საქართველოს მოქალაქენი, რევოლუციისა და ბრძოლის ქარცეცხლში გამოძრავდებილი ერი ფეხზე დგება და მიდის სამშობლოს დასაცავად.

აღორძინებს ხალხის გულს მშობლიურ ხმებს. „სასახლესთან“. „სასახლესთან“. ეს არის პროვინციული ჩამოსულობის რესპუბლიკანეობის ძახილი. და მიღიან ყველა და წავს ხრიან ერის უზენაეს ტაძართან.

ასე იყო გოშან წინ, როცა მრავალი მოხუცი და ახალგაზრდა რაჭუკე-ლეჩხუმელი ადგა სასახლეს. ძვილ, თითქოს მიყრუებულ საგალობელს ვალბოდნენ მოხუცი-ბრძოლის სიმღერას-როგორც ამბობდნენ ისინი, და ახალგაზრდობა ბანს აძლევდა შათ. დიდი ეროვნული მანიფესტაცია მოვიდა სასახლესთან და ქალაქი მოხუცი მითაურა, ვით მოციქული თავის მოწაფეებს, მიმართავს მათ: „მამულის შვილნო! ეს არის სასახლე, სადაც იმყოფება წინა სიამაყე და დიდება. ეს არის წმინდათა წმინდა ჩვენი ერისა. მოვკდეთ და არ შევამუსყრიოთ ეს მარტებს.“

მძღვართა იმისი — „გაუშაროს“ გაბედულობით იმისი — „მოვკვდებით“. შეუდრკეცლათ იმისი — „სიკვდილი მტერს“.

და იყო იმ საღამოს ქართველობა, ეროვნული, სიმტკიცე და რწმენა თავის თავისადმი და გაგონდებოდა აღამიანს, რომ აღდგენ ძველი სურათები, შეიცარია, ვიღველელში, ზევის ბერი.

და როცა ბოლოში გააღმასხმული ვლასა მგელაძე, რაღაც უცნაურ ტანსაცმელში, ფართო ქულის ქნევით გაპყვიდა — „თავისუფლების მოყვარული ქართველო ხალხო!... — რაღაც უჩვეულო ტრანკული უფლის ყველას“ და ისევ ცრემლები... ქუხს სასახლის აივანიდან ღამეში ხმა, იმისი „ბრძოლა, ბრძოლა, თავდაცვა... თავისუფლება — ძირს კი იწყებელი გრძობების ნავარდი, გახნევენა, ცრემლები და მოხუცის მშობლიური გლეხური ამოძახილი: „ყოჩაღ ბიჭო, ვლასა“.

სამშობლოს დასაცავად პროვინციის გამოძახილი.

ტფილისი, 27 დეკემბერი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეკრეტი:

ლანჩხუთი. ლანჩხუთის ქალაქის საბჭო, აღფრთოვნილი სომხების მუხანათური თავდასხმით, მოგესალმებთან თქვენი და იმედოვნებს, რომ ორქოფი და გაიძვრა მტერი ჩვენი ძვირფასი ჯარისა და გვარდიის მიერ გარკვეული იქნება რესპუბლიკის საზღვრებიდან. ქალაქის საბჭო მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარს რესპუბლიკის დაცვას.

ქალაქის თავი კვიციანი ვიცილი.

სამტრედიო. საქართველოს ინტერნაციონალურ მშვიდობის მოყვარე დემოკრატიის ღირსეულ მთავრობას იძულებითი იარაღის აღდგენაში მხარს უჭერს სამტრედიის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი. მობილიზაცია რაიონში ბრწყინვალეთ ჩატარდა.

კომიტეტის თავმჯდომარე ი. კოპალეი ვიცილი.

შემოქმედ. ი. ვიცილი რა მხედველობაში, რომ საქართველოს მთავრობამ მიმართა ყოველგვარ ზომებს, რათა ორ მოძვე სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხები მშვიდობიანად მოლაპარაკებით გადაჭრილიყო, სომხეთის ჯარი ქურდულათ თავს დაესხა ჩვენს სადარაჯოებს და მრავალი ჯარისკაცი დახოცა და დაამახინჯა. ზიზღს და სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ სომხეთის მთავრობის იმ წევრთა წინააღმდეგ, რომლებიც თავის ბინძური ხელებით შურსა და მტრობას სთვლენ საუკუნოებრივ მტრობარ ერთა შორის და გახადდურებენ უქადიან საქართველოს. ვიწონებთ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ფიცს ვსდებთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ შემოსეულ ფანტოზებისათა ასალაგმავათ.

შემოქმედის საზოგადოების მასიურ კრების მონაწილეობით მელიქი ვიცილი.

ქუთაისი. ქუთაისის ქალაქის საბჭო შეიკრიბა სასწრაფოდ იმ სამუშაორო ამბების განხილვის მიზნით, რომელიც მოხდა სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებზე უპასუხისმგებლო პირობის ავანტიურის მწყობრით, და მიიღო რა მხედველობაში, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ ყოველგვარი ზომები იხმარა სისხლის

ღვრის ასაცილებლათ, რამაც სამუშაოროდ მიხანს ვერ მიადგინა და იძულებული გახდა ჩვენი დემოკრატია იარაღით შეეღებინა თავი კონტრ-რევოლუციურ ფაქტორებს სწორედ შოვინისტ-ავანტიურისტიკისაგან, აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარი დახმარებას და იმედს გამოსთქვამს, რომ მიღებულ იქნება სათანადო ზომები, რათა მოწესრიგებულ იქნეს დაძლეული ომის გამოწვევი მიზეზები.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გ. ურტაძე. ჭუთაისის ქალაქის თავი დ. კალანდარიშვილი.

სიღნაღი.

მობილიზაცია ბრწყინვალეთ სწარმოებს. სულიერი განწყობილება საღია. ჯარში გასაწვევნი ცხადდებიან. უკვე გამოცხადდნენ ქოდალოსა და გურჯაანის ნაწილებიდან. 23 და 24 მოველით დანარჩენ ნაწილებიდან. ამ დღეებში მთავრობასთან წარმოსდგება საგანგებო ცხენოსანთა რაზმი მოხალისე ქიზიყელთა თუშებისა. მხარაში სრული წესიერება სუფევს.

ტფილისის მაზრა.

მობილიზაცია სათანადოა ჯარის კაცთა და რევოლუციო ცხენებისა ჩინებულათ მიმდინარეობას. სათანადოა ჯარის კაცნი და უყვენებლივ ცხადდებიან მოვალეობის მოსახდელო, ხოლო ვისაც ჯარში გაწვევა არ უწევთ, მოხალისეთ. ეწვეებიან საგანგებო რაზმში დიდის აღფრთოვანებით. ვარდა ამისა ყველა რაონში სდგება მოხალისეთა რაზმები, რომელნიც შემდეგ უერთბა სახალხო გვარდიის ყარაისის რაიონიდან კი ჩამოვიდა ტფილისში წესიერების დასაცავათ და სიმშვიდის ჩამოსაგდებათ მაშადაიანთა ცხენოსანთა კომანდა.

ყრილობა.

ქალაქთა კავშირმა, ერობათა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტმა, პროფესიონალურ კავშირთა ცენტრმა, კოპოვრატითა კავშირმა და რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა 29 დეკემბრისათვის მოიწვიეს თავის ორგანიზაციათა ყრილობები. ყველა ყრილობაში დანიშნულია ქალაქის გამოვლის სერობაში დღის 11 სთამდე. ზემოთდასახელებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა სასურველათ სცნეს ყრილობათა შეერთება და მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენების მოსმენა. მომხსენებელნი იქნებიან ალ. ს. ლომთათიძე მიმდინარე მომენტზე და ნ. ზ. ილიავა — ჯარის მედიკოს-სანიტარულ საქაროების შესახებ.

თელავი.

აღდგენილი სათანადოა ჯარის კაცთა მიღება. გამოცხადდა ახლო-მახლო სოფლებიდან 4000 კაცამდე, მათ შორის 4 ექიმი. ცხენები 68 სულია არჩული. მობილიზაციის პირადეთ მე ვხელმძღვანელობ, იმედი მაქვს უმცირესელთ ჩვეატაროთ. ამასთან ერთათ მე ხელს უწყობ პარტიზანულ რაზმისა და მოხალისეთა რაზმების შედგენას. მაზრის კომისარი არონიშვიძე.

მცხეთა.

მცხეთაზე სულიერი მდგომარეობა მეტად აღტყინებული მეომრულია. მოქალაქენი, ჯარში გასაწვევნი და მოხალისენი, რიცხვით 1000 სულამდე. სამხედრო უფროსის გამგეობასთან თავი მოიყარა და გადაჭრით მოითხოვა ომში გაგვზავნეთო.

გორი.

ტფილისის გენერალ-გუბერნატორ ბ. შალვა მალაკაძის დეკრეტით ატყობინებენ: ჯარში გაწვეულნი შესაკრებ პუნქტებზე არ ბანდდებიან და იმავე დღეს იგზავნიან სხვა და სხვა ნაწილებში. ზოგიერთი კომისარები სათანადო ზომები არ იღებენ ჯარში გაწვეულთა მოსაყვანათ. მაგალითებრ დღემდე არ ჩამოუყვანიათ სრულიად ჯარში გაწვეულნი ახალ ქალაქის, ქვემოქალის, მეჯვრისების კომისარებს, ხოლო ცხინვალისა და გორისამ ჩამოიყვანა ათ პროცენტამდე. ყველაზე ენერჯიული კომისარი აღმოჩნდა ხაშურის შემდეგ ბორჯომისა და სურამის კომისარები.

სამხედრო უფროსი ი. კრიკორიძე. სამხედრო უფროსი ცნობით გორის მაზრის კომისარები არ იღებენ შესაფერ ზომებს ჯარში გაწვეულთა ჩამოსაყვანათ. ამის გამო წინადადება ვაძლევ მიიღონ ენერჯიული ზომები ამ ჯარის კაცთა შესაკრებ



პუბლიკა ჩამოსაყვანათ სარაიონო და სოფლის კომისიებმა მიიღონ ფიცილები და სასტიკი ზომები და ყოველ დღე მაცნობონ მოხილვის მიზნით მიმდინარეობის საქმეზე და თან მამხსენონ უმოქმედო სოფლის აღმინისტრაციის პირებზე.

გუბ. კომისიის მოადგილე კალანდარი შვილი.

დუშეთი.

ბ. მაღლაკელიძეს ატყობინებენ: მოხილვისათვის მიმდინარეობს, იკრებება დიდი ძალი ხალხი და რევიზიით გროვდება საკმაო რიცხვი ცხენებისა, რომელსაც ვაბარებთ მოსულ მიმღებებს. ვიღებ სათანადო ზომებს მოხილვისათვის სასურველად ჩატარებაზე. ყველა თქვენი ბრძანებანი სრულდება დაუყოვნებლივ.

მაზრის კომისიარი შელია.

მოხილვისათვის წინააღმდეგ იყო აკტივია სონხების მხრივ, მაგრამ მსწრაფლ ჩეკაქრე და მოესპე.

მაზრის კომისიარი შელია.

სიღნაღი.

ბ. მაღლაკელიძეს ატყობინებენ: გურჯაანის მხრიდან გამოგზავნენ 437 მოთადარივე ჯარის კაცი. სულ გამოგზავნილია 1437 კაცი. მოხილვისათვის ბრწყინვალე მიმდინარეობს.

მაზრის კომისიარი გელაშვილი.

თიანეთი.

ბ. მაღლაკელიძეს ატყობინებენ: მოხილვისათვის ორ მხარეში უკვე დასრულდა მშენებელი. ფშავ-ხევსურეთის მხარეშიც ჩქარა მომთავრდება. ყოველ დღე ციფრებით ნუსხის მოწვევა შეუძლებელია, ვინაიდან ბევრი ჯარში გაწვეული მიდის პირდაპირ დუშეთში და იქ ცხადდება სამხედრო უფროსთან. როცა სრულიად რომთავრდება მოხილვისათვის მაშინ წარმოგიდგინებ საბოლოო ცნობებს. ცხენების რევიზიაცია ჩინებულათ მიდის.

მაზრის კომისიარი აფაქიძე.

მუთანი.

დაზნაქელების დატყულება.

23 დეკემბერს ღამით ქუთაისის სახალხო მილიციამ დაატყუა შემდეგი პირები: ექიმი აშიანი, ალექსანდრე სარქიანი, სამუილიანი, არ. გოგიჯანიანი, პეტრე და სტოპა მღებროვები და სხვა. მათ შორის არიან ორი ჟესო სომეხი, რომელთაგან ერთი აგრონომია, ხოლო მეორე პოლიკლინიკი. ეს უკანასკნელი სამი კვირა არის, რაც ქუთაისში ჩამოვიდნენ. მათი სიტყვით პოლიკლინიკს აქ სახლი ჰქონდა გასაყიდელი, ხოლო აგრონომი მან წამოიყვანა, რათა შემდეგ აღებული ფულით რაიმე საქმე დაეწყეთ ერთად. მთავრობის ცნობით კი, ისინი არიან დაზნაქულების პარტიის წევრები, რომლებიც აქ იყვნენ ჩამოსული განსაკუთრებული დავალებით და ახდენენ კრებებს.

ქუთაისის გვარდიელები უკვე პოზიციაზე ვიმყოფებით, ყველანი კარგათ ვართ, სულიერი განწყობილება ძლიერ კარგია. ვადაცეით სალამი ამხანაგებსა და ნათესავთ. გვარდიელები ხელაძე.

დახმარება ჯარს.

24 დეკემბერს მუშათა საბჭოს ბინაზე შესდგა ჯარის დახმარება ქალთა ბიუროს სხდომა. კრებამ იქონია მსჯელობა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ფულების და სხვა ნივთების შეგროვება და დაადგინა: ამ დღეებში გაიმართოს ყულებით ფულების შეგროვება. გაიმართოს ქალაქის თეატრში წარმოდგენა და პროექტორში სურათების ჩვენება. მთელი შემოსავალი გადაიდება მეომართა სასარგებლოდ. ამავე კრებამ დაადგინა მოწოდებით მიმართოს ყველა დაბა-ქალაქებში ქალთა ორგანიზაციებს, რათა იქაც შეიქმნეს ასეთი დახმარება ბიუროები.

ქუთაისის აფთიაქების მეპატრონე-მოიჯარადრეთა კავშირმა დაადგინა: 23 ქრისტე-შონისთვის (ახალ. სტ. (როდესაც ღიაა ყველა კერძო აფთიაქები) მთელი დღიურ მუშაობისაგან შემოსული თანხა გადასდოს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დასახმარებლად, ავანტიურისტ-სონხებისაგან ნაძალადეგთ თავზე მოხვეულ ომით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად.

დადიანის დასაფლავება.

ვაკარ-მრეწველთა ბიურომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, მთელი სავაჭროები დაიხუროს 28 დეკემბერს დილისათვის, რათა დაეწიროს სომეხთა ბრძოლაში გამართლად დღეობის როტმისტრ ანდრია დადიანის დასაფლავებას. ვაკარ-მრე-

წველთა საბჭოს სახელით გამოცხადდეს ქირისფულს სამიძიარი და მიცვალბულის კუბო შემკული იქნას ცოცხალი ყვავილებით, და გვრეთვე გვირგვინით შესაფერისი წარწერით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უწყისი მიღებული შემოწმებები.

28 დეკემბერს ვახ. საქართ. რესპუბლიკის კანტონამ წელიტონ გაჩინა მთავრობის (ყვირი-ლეული ვაქარია) მიიღო 500 მანეთი სახმედრო ფულადი გასაძლიერებლათ.

— საქართველოს მეომართა დახმარება კომიტეტში შემოვიდა 25 დეკემბერს: ანიკო მავა-შვილისაგან 10 მ. ანა ბაიასისაგან 10 მ., მრე-ლაშვილისაგან 5 მ., აღმაშენებლისაგან, 100 მ., არა-ქელოვისაგან 100 მ., შურკულაძისაგან ვერცხლის ფულით 12 მ., ეკატერინე ტყემალაძისაგან. 100 მ.

— ვორელ გიორგი ქანაშვილისაგან: 10 გირანტა გულისს ვეკლი, 20 შეკვრა წუმწემა, 500 ც. პაპიროსი სულ 175 მან. ღირებულად.

ლოგანის უსახე. დურნუკელი სომეხები.

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის ბ. მაღლაკელიძის სახელზე ტფ. მაზრის სოფ. დურნუკის მცხოვრებლებმა ვრცელი განხილვი შეიტანეს ამ სოფლის საზოგადოებისა. განხილვი დურნუკელი სომეხები სწავრენ ვენ. გუბერნატორს, რომ ისინი, როგორც შვილი საქართველოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქვეშევრდომნი აცხადებენ თვის პროტესტს დღევანდელ შექმნილ უღონო მდგომარეობის შესახებ საქართველოსადრე სომეხთა შორის მეტადივი იმ ავანტიურისტ სომეხთა მიმართ, რომელნიც სომეხთა იწვევებიან და იმ მოლაღატე სომეხთა, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ, და ეს შეტყუება მოახდინეს ორ ძნურ მწველობიანთ ნცხოვრებ ხალხთა შუა. ანასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ვეძღვებით სალამს და მზად ვართ აღმოჩინოთ მას ყოველივე დახმარება სისხლის ღირსის წინააღმდეგ, და არ დავზოგოთ ჩვენი თავი, არც სახარისი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანების აღსასრულბელათ.

საქართველოს მთავარი უსახე-ლის სხე.ბ

ტფილისი, 28 დეკემბერი. გუბერნატორის რაიონში შეტყუების დროს ხელთ ვეგდეთ ორი მომქმედი ტყვიისფრკვევილი. დახარჩენ ფრონტზე სიწყნარება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ლიანდაგის დაცვისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრმა ტფ. გუბერნის კომისარის სახელზე ბრძანება გასცა, რომ მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები, რომ სატელეგრაფო ლიანდაგი ეკატერინენ-ფელდ-სანდარ შუა არ იქნას დაზიანებული და მისი დარაჯობა ადგილობრივ მკვიდრთ დაეკისროთ.

ტყის გამჩხელებთა შესახებ.

ბორჯომიდან სამინისტროს რწმუნებული დეპუტით სთხოვეს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ განთავსდებულ იქნენ ციხიდან ის გლეხები, რომელნიც შეპყრობილ იქნენ ბორჯომის ტყის თვითნებით კოფის გამო, ვინაი-დან ადგილობრივ მცხოვრებლებმა მათ მა-გიერ უკვე აღწაღალურეს ჩვენს მთავრობას ზარალი, რომელიც ამ ტყის გაჩხეხისაგან მო-უვიდაო.

გზათა სამინისტროში

ჩქარი მატარებლები. საქართველოს რკინის გზათა სამმართველო ამით იუწყება, რომ დეკემბრის 29—30-დან დაიწყება ჩქარი მატარებლების № 1 და 2 მიმოსვლა. № 1 გაემგზავრება ტფილისიდან დეკემბრის 29-ს, № 2 ფოთიდან—დეკემბრის 30-ს.

რკინის გზის ხარჯთ-აღრიცხვა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ აცნობა გზათა სამინისტროს, რომ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით საქართველოს რკინის გზათა ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლის უნდა წარუდგინოს განსახილველათ მთავრობას შემდეგისათვის შესატანათ საქართველოს პარლამენტში და ამტკიცებლათ.

სასაგარეო უწყისი

გუბერალ-გუბერნატორმა ბ. შ. მაღლაკელიძემ ვახუშტი „კლდეს“—№ 28 მოთავსებულ მეთაურის განო მისცა სასტიკი ვაჭრთხილბა. თუ კიდევ ასეთი შინაარსის წერილი ეკლავ დაიბეჭდება, იმ შემთხვევაში ვახუშტი საზღვაოთ დაიხურება.

მხოლოდ ამ პროცესის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს შეეძლება მოახდინოს სათანადო განკარგულება რკინის გზათა საქირო კრე-დიტების გახსნის შესახებ.

საქონლის გასინჯვა-გაჩხრეკის გამო.

ცენტრალურმა სასურსათო საბჭომ აცნობა გზათა სამინისტროს, რომ საბჭოს სახელზე მო-სულ საქონელთა შორის ხშირათ წონაში და რიცხვში აკლია. სასურსათო საბჭო დაინ-ტერესებული ამ საქონლის მთლიანობაში შე-საძლოთ სცნობს ნამდვილ მიხეზის გამოკვე-ვას იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზის აღმი-ნისტრაცია დაუშვებს საქონლის გასინჯვასა და გახილვას მოსულ ვაგონებში საბჭოს აგენტებს. ამის გამო სასურსათო საბჭო სხოვეს მინისტრს უბოძოს განკარგულება, რომ სასურ-სათო საბჭოს მისამართ მოსულ საქონლის გა-სინჯვა-ჩხრეკაზე დაუშვებულ იქნეს სასურსა-თო საბჭოს ექსპედიტორი ბ. კილურაძე.

საბუნებრივ-გუმბარასტორი

გუბერალ-გუბერნატორმა ბ. შ. მაღლაკე-ლიძემ ვახუშტი „კლდეს“—№ 28 მოთავსებულ მეთაურის განო მისცა სასტიკი ვაჭრთხილბა. თუ კიდევ ასეთი შინაარსის წერილი ეკლავ დაი-ბეჭდება, იმ შემთხვევაში ვახუშტი საზღვაოთ დაიხურება.

ახალი მთავრობა ბაქოში

ბ ა ქ ო, 28 დეკემბერი. აღდგენილების რე-სპუბლიკაში შესდგა ახალი მთავრობა: მთავ-რობის თავმჯდომარე და მინისტრი საგარეო საქმეთა ხახ-სოსიკი. შინ. საქმ. მინისტრი ხახ-სოსიკი. ვაჭრ. მრეწ. მირზა ასადულაევი ფინანსთა მინ. პროტასიევი. სასურსათო მი-ნისტრი ლიზგარი. მიწათ-მოქმედების მინისტრი ჟუფუბეკოვი. სახმედრო მინ. მესხინდა-როვი. გზათა მინისტრი მელიქ ასლანოვი. სახელმწ. კონტროლიერი და სახალხო განათ-ლების მინისტრი გაჯინსკი. იუსტიციის მი-ნისტრი საფიკიურსკი. განზრახულია სამი ად-გილი მინისტრისა სომეხებს დაეთმოს. (ს. დ. ს.)

ქრონიკა

○ სექცელმოქმედო და ქალთა საზოგადოე-ბას. ამ საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ დაქორცილებულ, რომელნიც ტფილისში ჩამოყვავთ და საქართველებს შეიწყობის აღმოჩენას.

○ სანაიათს, 31 დეკემბერს, სახალხო სა-ხლთაბ არსებულ სცევის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ეგ-ხინოზელის იოთხოობიდას ვადმოკეთებული „ოსეი აყრალი“ დრ. 4 მოქ. გრ. საქართვე-დელისა. „ოსეი მწერლის“ როლს შეასრულებს ვ. ათაიძე.

○ გამოვიდა და იყიდება რესპუბლიკის ქალთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორ-განო, უფროსი „კავკასიის ქალაქი“ 13—14 სთავით. შინაარსი: ქართულათ. რედაქცი-ილია. ივ. გომართელი. ერობის შედიცხისა ჩვენში. ს. რ. ჩვენსი თვითმართველობისა. ა. ე. სევი. საქართველოს საბუნებისმეტყველო-საინტორიო აღწერა. ვ. შ. თე ქალთა და ერობათა საერთო ილიცია. კახთა-პროექტი ქალთა სასოცისის მისათათა არჩევებითა. ეროსიკა: 1) ქალთა თვითმართველობებში. 2) ერობათა თვითმართველობებში. რუსულად: დ. გ. შეხიშენები მილიციაზე. ე. კლემინი. მუ-ხიციანლურ წარმოების შესახებ. ე. მაღლისო-ხი. ქალთა მისამართებზე. გ. თუბანოვი. ტფილისის პოლიტექნიკუმი და მუნიციპალი-ტეტები. ე. არგასიკაი. აღსრდა შრომის ხიდავაზე. ნ. გიკი. ტფილისის შრომის ბიო-ქის თუბათა. დ. კოხტევი. მუნიციპალური ითხოხილვა. კონსულტური შეფრხობა რუსე-თის სასოცისის. ეროსიკა. მისამართ: სომხის ბაზარი № 6, ტელეფ. 7—31.

სასაგარეო უწყისი განაჩენი

გუბნიხ, ხაზუადღვის 31/2 ს. სასაგარეო მ-ბის განოტანა განაჩენი ძეგვის ხიდის ამფეთქე-ბლებზე. შინაგარეო უწყისი და კუჩარინაც სიკე-დილით დასჯა მიუსჯა, კურულანცი გაა-მართლა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა მ ა

სასაგარეო უწყისი

ქალთა წრემ განაახლა მუშაობა სასაგარეო „ნიქელისა“. ყოველ დღე მზადდება გემრიელი სადილები 1 საათიდან—5 საათამდინ. მოწვე-ულია საუკეთესო მზარეული. ფასები დაკლე-ბულია. სასაგარეო იმყოფება ძველ სემინარიის შენობაში. 1173 12—8

ქეიგი ი. კ. ახალი რევიზია
შინაგანი ავადმყოფობა.
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერ-ლისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აქცია გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ქმეტისა სისხლბუნკულობისა და მილარისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4 1/2—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 28. ტელეფ. 5—56. № 719.

რენტგენის ელექტრონის სამკურ-ნალო კაბინეთი
შედიცხის ლექტორის
ბ. გეგაბოვიისა.

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა), მიიღებს შინაგან და გარეულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ქლემის ავ. დეყო-ფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ქაქებისა. მილარის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაქე-რით. დაქორცილებს რიგს გარეშე იღებენ. ბე-ბუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყო-ველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღ-ამოს 5—8 საათ.
70—2 საწყლებს უფასოდ. 624

გორის მაზრაში ასარჩევია თორმეტი გომრიგაველი მოსაგარელო.
ჯამაგირი მონატებულია. მხოვნები 1919 წ. 15 იანვრამდე მიიღება.
გორის სანატო გროზის ვ ა მ გ ე ო ბ ა 1191 5—3

ფილიპე ზურაბის ძე დაეღენიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ჯარიდან განთ-ვისფლებისა, მიღებული 1901 წელს, რომე-ლიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1219 3-1
დავკარგე დედის პირადობის მოწმობა და შაქრის ბარათი მხოვნელს ვთხოვ ვადმომცეს პირველ რაიონის ბიუროში დათ. ლორთქი-ფანიძეზე ვადასაცემათ. 1286 3—1

ექიმი პეტრე ივანეს ძე ტალინოვსკი აცხა-დებს, რომ მან დაჰკარგა ქორწინების მოწ-მობა, მიღებული ტფილისის ქალაქის გამე-ობიდან 1917 წ. მოწმობა გაუქმებულად ით-ვლება. 1212 3—2

ტფილისის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქვრივმა თამარა კვირიკაძისამ. როგორც მისი განცხადებით და სჩანს დაუკარგავს სახლის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის უფროსი ნოტარიუსის მიერ 2 მარტს 1904 წ. № 890. 1201 3—2

გიორგი ისაკის ძე ამბროსაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სა-ბუთის სოფ. მამასახლისიდან, სამხედრო ბი-ლეთი, მიღებული ტფ. სამხედრო საკრებუ-ლოდან, მემანქანობის მოწმობა, გიორგის ჯვარის ტარების მოწმობა და 600 მ. 1214 3-2

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყო-ფილების მოსამართლე იწვევს სერაფიმო ია-კობის ძის პოლიანსკის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი ფულბე პოლიანსკის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1164 3—2

ანა ზენობის ასული ბეკურაშვილი აცხა-დებს, რომ მან დაჰკარგა ატტესტატი, მიღე-ბული პროფესიონალურ სასწავლებლიდან 1916 წ. მხოვნელს სთხოვენ ვაგზავნოს შემ-დეგი მისამართით: დუშეთის მეორე ტუპა-კვი, № 28. 1189 3—2

ბოლესლავ ბაღინსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბილეთი ტფილისის პირველი კერ-ძო ლომბარდისა № 78513, 250 მ. 1196 3-2
ნადეჟდა ანდრიას ასული ულიანოვა აცხა-დებს, რომ სასტუმრო პალას-ოტელში დაიწ-ვა 4% რენტა 400 მან. № 49886, რომელიც მას ეკუთნოდა. 1223 3—2
ოლღა ანტონის ასული ნათიშვილისა ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფულის მიღე-ბის მოწმობა 1.022 მ. 48 კაპ. № 1 2178, მი-ღებული 8 ნოემბერს 1918 წ. ამიერ კავკა-სის რკინის გზათა ხარჯთ-შემკრები სამსახუ-რის დაწესებულებიდან. 1208 3—2
ბარსეგ ალექსანდრეს ძე მალხაზიანი აცხა-დებს, რომ მან დაჰკარგა კვიტანცია № 1179, რომელითაც იყო აზოვო-დონის კომერციულ ბანკში შეტანილი 30.000 მანეთი—5% 1917 წლის თავისფლები სესხი. 1198 3—2